



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

პიგმალიონის ეფექტის გავლენა აუდირებისას წუხილზე და გაგების პროცესზე
ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისას (ერაყის უნივერსიტეტებში)

რაუფ ავჯი

დისერტაციის ავტორეფერატი

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოღონაძე ნათელა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი

ექსპერტები

ეკატერინე ფიფია

პროფესორი, დოქტორი

მანია ჩქოტუა

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები

მადონა შელია

პროფესორი, დოქტორი

მანია ალავიძე

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

შესავალი

კვლევის მნიშვნელობა

თანამედროვე გლობალიზებული მსოფლიო ყოველ დღე სულ უფრო მეტად და მეტად იცვლება. ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა ძალიან სწრაფად იზრდება. ასევე სწრაფად იცვლება ეფექტურად სწავლების (მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო მასალის, საკლასო აქტივობების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შერჩევისას სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინება, აგრეთვე ინტერაქტიული სწავლება, კომპიუტერული პროგრამებისა და სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება) გზები და მისადმი მოთხოვნები. სწორედ ამიტომ ინგლისურის ეფექტურად სწავლების კვლევა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თუმცა, ბევრ კვლევაში აღნიშნულია ის ნეგატიური შეგრძნებები, რომლებსაც უცხო ენის შემსწავლელები შესაძლოა განიცდიდნენ ენის სწავლის პროცესში და მოგვიანებით რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენებისას (Onwuegbuzie, Bailey, & Daley, 1999; Young, 1991; Horwitz, Horwitz, & Cope, 1991). ასე რომ, რა მასალა, აქტივობები, სწავლების და შეფასების მეთოდებიც არ უნდა იქნას გამოყენებული, შესაძლებელია წარმოიშვას არასასიამოვნო შეგრძნებები, რომლებიც დაბლა დასწევენ სტუდენტთა მოტივაციას და საბოლოო ჯამში სწავლის შედეგებსაც. ეს არასასიამოვნო, რთულად ასახსნელი და ასაღწერი შეგრძნებები „შფოთვის“ სახელითაა ცნობილი. სტუდენტები იტანჯებიან სიმორცხვისგან, პანიკის შემოტევისგან, ისინი ფიქრდებიან ან წითლდებიან, ოფლი ასხამთ, მუხლი ეკვეთებათ, თავის და/ან მუცლის ტკივილი ეწყებათ, როდესაც შედიან უცხო ენის გაკვეთილზე ან როდესაც უცხოელთან საუბრის საჭიროების წინაშე დგებიან.

არსებობს ბევრი ფაქტორი, რაც უცხო ენის სწავლებისას შფოთვას იწვევს, ესაა, ერთის მხრივ, რაღაცა ახლის შიში, თავდაჯერების ნაკლებობა, ენის კომპეტენციისა და სწავლის სტრატეგიების სიმცირე, მეორეს მხრივ კი, კომუნიკაციის აუცილებლობა და სხვ. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ენის სწავლებისას შფოთვას იწვევს, არის საგანმანათლებლო პროცესის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთობა. სტუდენტის სურვილი

ისწავლოს ენა ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ეპყრობა მასწავლებელი მას. თუ სტუდენტები ხედავენ, რომ მასწავლებელი მათ ეპყრობათ როგორც ენის ნიჭიერ შემსწავლელებს, რომლებიც მიზანდასახულად სწავლობენ ენას, ეხმარება მათ, მომთმენია და ა.შ. მაშინაც კი, როდესაც ისინი მუდმივად უშვებენ შეცდომებს, ვერ აწყობენ წინადადებებს და იჭრებიან ტესტებში, ისინი ხდებიან ხალისიანი შემსწავლელები, მათი თვით-შეფასება იზრდება, ასევე იზრდება სწავლის მოტივაციაც. ური (Ur, 1996:274) ამტკიცებს, რომ მოტივირებული შემსწავლელი არის ის, ვინც მზადაა ჩაერთოს სასწავლო აქტივობებში. სწავლაცა და სწავლებაც მარტივია, თუკი სტუდენტები მოტივირებულები არიან.

შფოთვა მოსმენისას არის ენის სწავლის განსაკუთრებული შფოთვა, რომელიც თან ახლავს მოსმენილის გაგებას. სტუდენტები მოსმენას ხშირად არც აღიქვამენ როგორც აქტივობას, რომელიც იწვევს შფოთვას, თუმცა რეალურად ის იწვევს ერთერთ ყველაზე უძლიერეს შფოთვას. მორჩიოს (Morchio, 2009) მიხედვით, ვის მოსაზრებასაც მკვლევარი სრულიად იზიარებს, აქამდე წარმოებულ კვლევებში, სადაც ენის სწავლისას შფოთვის სხვადასხვა ტიპის (საუბრის, მოსმენის, კითხვის და წერის) რეიტინგს განიხილავენ, საკითხი არასწორადაა დასმული. სწორედ ამიტომ ენის სწავლისას მოსმენის პროცესში წარმოშობილი შფოთვა სიაში ბოლოდან მეორე ადგილზეა (ბოლო ადგილზე დგას კითხვა). საკითხი ეხება არა იმ აქტივობებს, რომელსაც კლასში ასრულებენ სტუდენტები და შესაძლოა მეტად მარტივია, არამედ ენობრივ ტესტებს და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს.

ამგვარად, მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, მასწავლებლის რა ტიპის ქცევამ შეიძლება გაზარდოს ენობრივი (განსაკუთრებით, მოსმენის პროცესში წარმოშობილი) შფოთვა და შესაბამისად შეამციროს სწავლის შედეგები, და პირიქით, მასწავლებლის რა ტიპის ქცევამ შეიძლება შეამციროს სტუდენტთა უარყოფითი გრძნობები და მათი გავლენა სწავლაზე. კვლევა ნათლად ასახავს, რომ მასწავლებლის მოლოდინი და დამოკიდებულებები სტუდენტებთან მიმართებაში ცვლის სტუდენტთა შთაგონებებს, ქცევებს და საბოლოო ჯამში ცვლის ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლის შედეგებს ინგლისური ენის გაკვეთილზე (Horwitz, Horwitz, & Cope, 1986).

პრობლემა

ბევრი სტუდენტი წლობით სწავლობს უცხო ენას, ახერხებს დაიმახსოვროს გარკვეული რაოდენობა სიტყვების და გრამატიკული სტრუქტურების, შეასრულოს შესაბამისი სავარჯიშოები, წაიკითხოს, დაწეროს და წარმოთქვას იმ დონეზე, რომ კურსის დასრულებისთვის ჩააბაროს გამოცდა, მაგრამ ისინი უუნარონი არიან ჩაერთონ რეალურ ცხოვრებისეულ ზეპირ კომუნიკაციაში. იმ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უშლიან მათ ზეპირ კომუნიკაციას (თავდაჯერებისა და მოტივაციის ნაკლებობა, სტუდენტთა მორცხვობა და ინტროვერსია), შფოთვა არის ყველაზე უფრო გავლენიანი ფაქტორი. იმის შიშით, რომ ვერ გაიგებენ ან შეცდომით გაიგებენ პარტნიორის საუბარს, სტუდენტები ცდილობენ ჩუმად იყვნენ და არ უპასუხონ შეკითხვას. ხანდახან კი, როდესაც შეცდომით გაგებულის შედეგად კითხვებს არასწორ პასუხებს სცემენ, კომუნიკაციის მარცხს განიცდიან. იმისათვის, რომ დავძლიოთ ეს ფსიქოლოგიური პრობლემები, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ე.წ. პიგმალიონის ეფექტი (PE) - მასწავლებლის რწმენა, რომ მის სტუდენტებს აქვთ უნარი ისწავლონ, რომელიც სტუდენტებს სხვადასხვა გზით გადაეცემა. დისერტაციის მიზანი იყო გაგვეკეთებინა ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის ანალიზი, რათა გამორკვეულიყო პიგმალიონის ეფექტის მექანიზმი. ნაშრომის მიზანი იყო პიგმალიონის ეფექტის ისეთი მოდელის განვითარება, რომელიც არა მხოლოდ მოიაზრებდა სტუდენტთა შექებას, არამედ მასწავლებლის დადებით შეხედულებას გადააქცევდა სტუდენტთა დადებით ქცევად და დაგვანახებდა, რომ ის ამცირებს სტუდენტთა მიერ უცხოურ ენაზე ტექსტის მოსმენისას წარმოშობილ შფოთვას და მას დადებითი გავლენა აქვს მოსმენის უნარ-ჩვევების ხარისხზე.

სიახლე

პიგმალიონის ეფექტი და თვით-განხორციელების წინასწარმეტყველება (რომელიც მოიცავს სწავლის შედეგზე ორივე მოლოდინის, დადებითისაც და უარყოფითისაც გავლენას, უარყოფითზე აქცენტის გაკეთებით) ინტენსიურად შეისწავლებოდა 1960-იან - 1990-იან წლებში ფსიქოლოგებისა და განათლების სოციოლოგი

სპეციალისტების მიერ (Brophy, 1983; Elashoff & Snow, 1971; Jussim & Eccles, 1992; Livingston, 1969; Rist, 1970; Rosenthal, 1987; Rosenthal & Jacobson, 1968; Sibicky & Dovidio, 1984; Smith, Jussim, & Eccles, 1999; Snow, 1995). კვლევის შედეგები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, ის ან ეთანხმებოდა ანდა უარყოფდა პიგმალიონის ეფექტის მნიშვნელოვან გავლენას სწავლის შედეგებზე. იმის მცდელობა, რომ ამ განსხვავებულ მოსაზრებებში კონსენსუსისთვის მიგვეღწია, ღირსშესანიშნავი ეფექტის მისაღწევად დისერტაციაში შევიმუშავეთ პიგმალიონის ეფექტის ახალი მოდელი.

XXI საუკუნეში ამ სოციალურ მიდგომაზე იშვიათად აკეთებდნენ კვლევებში აქცენტს. მკვლევარმა მიიჩნია, რომ კვლევისთვის ფასეული იქნებოდა ეს საკითხი დაეკავშირებინა განსაკუთრებით უცხო ენაზე მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებასთან. ასეთი ტიპის კვლევა არ მოიძებნება ერაყის კონტექსტში. ზოგადად პიგმალიონის ეფექტის არსებული კვლევები უმეტესად ეხება მთლიანობაში სწავლას (Jussim & Harber, 2005; Natanovich & Eden, 2008; Riley & Ungerleider, 2012) ან უცხო ენის / მეორე ენის სწავლას (Tsiplakides et al, 2010; Wang, & Lin, 2014), არა კონკრეტულად მოსმენას, რომელიც მოცემული დისერტაციის სიახლის ფუნდამენტს წარმოადგენს.

ჰიპოთეზა

პიგმალიონის ეფექტის გამოყენება შეამცირებს შფოთვას ინგლისურის როგორც უცხო ენის შესწავლისას მოსმენის პროცესში და ამავდროულად გაზრდის სტუდენტების მოსმენის უნარ-ჩვევების დონეს. ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა:

- მასწავლებლის შეხედულება საგნის, კონკრეტული გაკვეთილის, საგანმანათლებლო მასალის და სტუდენტთა უნარის მიმართ განვიტარონ შესასავლი ენის (მოსმენის) უნარ-ჩვევები იყოს დადებითი.
- მასწავლებლის ქცევები (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, ინტერაქტიური დავალებები, კონსტრუქციული უკუკავშირი და ა.შ.) უნდა გამოხატავდეს დადებით დამოკიდებულებას.

ამ ყველა მოცემული პირობის მიხედვით მასწავლებლის ხედვასაც და ქცევასაც უნდა ჰქონდეს დადებითი გავლენა სტუდენტების ხედვასა და ქცევებზე და საბოლოოდ გაიზრდება მოსწავლეების მოსმენის უნარ-ჩვევების ხარისხი.

კვლევის მეთოდები

ჰიპოთეზის შესამოწმებლად მოხდა იმ ლიტერატურის ანალიზი, რომელიც შესასწავლ საკითხთან შესაბამისი იყო, და ჩამოყალიბებულ იქნა პიგმალიონის ეფექტის აქტიური მოდელი. იმისათვის, რომ გაზომილიყო სტუდენტთა შფოთვა მოსმენისას და მოსმენის უნარ-ჩვევები, გამოყენებული კვლევის მეთოდები იყო რაოდენობრივი. ესენია:

- ანკეტირება;
- ექსპერიმენტი (რომელიც მოიცავდა ტესტებს ექსპერიმენტის დაწყებამდე, ორ ტესტს ექსპერიმენტის მიმდინარეობის დროს და ექსპერიმენტის-შემდგომ ტესტს. ასევე გამოყენებულ იქნა ექსპერიმენტამდელი და ექსპერიმენტის-შემდგომი კითხვარები);
- მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება.

თეორიული ღირებულება

დისერტაციის თეორიული საფუძველი მოიცავს:

- როზენტალის პიგმალიონის ეფექტს (Harris & Rosenthal, R., 1985; Rosenthal, 2002; 1987; Rosenthal & Jakobson; 1968);
- ტომასის (Thomas, 1928) და ბროფის თვით-შესრულებადი წინასწარმეტყველება (Brophy, 1983; 1986);
- უზნაძის (UNESCO, 2002) განწყობის თეორიას;
- ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიას (Skinner, 1957; 1969; 1976; Thornbury, 1998; 2006);

- პოზიტიურ ფსიქოლოგიას (Csikszentmihalyi & Nakamura, 2011; Griffiths, 2008; Lopez & Snyder, 2009; Peterson, 2006; Seligman & Csikszentmihalyi, 2000);
- მოლოდინისა და ღირებულების თეორიას (Eccles & Wigfield, 2002);
- თვით-ეფექტიანობის თეორიას (Bandura, 1997; Bandura & Locke, 2003);
- ატრიბუციის თეორიას (Weiner, 1984);
- კრამენის აფექტური ფილტრის ჰიპოთეზას (1985; 1995);
- კვლევებს შფოთვაზე, სწავლის შფოთვაზე, ენობრივ შფოთვაზე და მოსმენის შფოთვაზე (Horwitz, 1989; 1987; 1985; Horwitz, Horwitz, & Cope, 1986; 1991; McIntair & Gardner, 1991; Morchio, 2009).
- კვლევას მოსმენის სწავლებაზე (Berne, 1995; Evans, 2008; Kim, 2011; Lazzari, 2009; McKinney, Dyck and Luber, 2009; Rosell-Aguilar, 2007, and Thorne and Payne, 2005).

კვლევის თეორიული ღირებულება ეხება პიგმალიონის ეფექტზე არსებული კვლევების შეჯამებას და მისი ეფექტური მოდელის განვითარებას კონკრეტულად ინგლისური როგორც უცხო ენის მოსმენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის. დისერტაციაში გაანალიზებულია ისეთი თეორიული საკითხები, როგორცაა პიგმალიონის ეფექტი, პირველი და მეორე ენის მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების შედარება, ინგლისურის როგორც უცხო ენის სწავლისას მოსმენის სირთულეები და მოსმენისას არსებული შფოთვა.

პრაქტიკული ღირებულება

იმედი გვაქვს, წარმოდგენილი დისერტაცია მოკრძალებულ წვლილს მაინც შეიტანს უცხო ენის მასწავლებლის მოსმენის სწავლებაზე ხედვის დადებით ცვლილებაში. ეს ენის შემსწავლელებს უფრო ბედნიერს გახდის და ამავე დროს დაეხმარებათ გაიუმჯობესონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები ავთენტურ სიტუაციაში. მოსმენის ის დავალებები, რომლებიც განხილულია პიგმალიონის ეფექტის ჭრილში, წვლილს

შეიტანს მოსმენის ეფექტურად სწავლებაში და დაეხმარებათ ენის მასწავლებლებს ჰარმონიულად იმუშაონ თავიანთ სტუდენტებთან.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ საკვლევ საკითხის გაშუქება სხვადასხვა თვალთახედვით მომხდარიყო. ის მოიცავს შესავალს, რომელიც მიმოიხილავს კვლევის მნიშვნელობას, მის მიზნებს, პრობლემას, ჰიპოთეზას, კვლევის მეთოდებს, დისერტაციის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, და სამ თავს. პირველი თავი მოიცავს ლიტერატურის კრიტიკულ განხილვას საკითხთან მიმართებაში, მეორე - პიგმალიონის ეფექტის გამოყენების გზების განვითარებას მოსმენის სწავლებისას, მესამე კი გვამღევეს იმ კვლევის დეტალურ აღწერას, რომელიც ჩატარდა ერაყში ქურთისტანის რეგიონში: სტუდენტთა და მასწავლებელთა ხედვის კვლევას პიგმალიონის ეფექტის გამოყენებისას მოსმენის სწავლა/სწავლების დროს და ერაყის ერთერთ უნივერსიტეტში ჩატარებულ ექსპერიმენტს. დისერტაციის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი. დისერტაცია შეიცავს 21 ცხრილს და 7 გამოსახულებას.

თავი 1. მოსმენისას წარმოშობილ შფოთვისა და მოსმენის პროცესში ტექსტის გაგებაზე პიგმალიონის ეფექტის გავლენის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

პიგმალიონის ეფექტის ცნება პირველად გაჩნდა უდიდესი სოციალური ცვლილებების პერიოდში, 1960-იანი წლების დასასრულს. ის ძალზედ პოპულარული იყო, მაგრამ მოგვიანებით იგი უარყოფილ იქნა, ერთის მხრივ, მიღებული შედეგების წინააღმდეგობრიობის გამო და, მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ განათლებაში კვლევითი ინტერესები ახალ მიმართულებას იძენდა. თუმცა, საკითხი დღესდღეობითაც ძალზედ აქტუალურია, რადგან აქცენტი კეთდება ძირითადად სტუდენტზე ეორიენტირებულ მიდგომაზე. ვინაიდან სტუდენტები ყურადღების

ცენტრში არიან, მასწავლებელმა წვლილი უნდა შეიტანოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლებაში მათი თავდაჯერებულობის ამაღლების გზით.

1.1. პიგმალიონის ეფექტის განსაზღვრება

სახელწოდება “იგმალიონის ეფექტი” სათავეს იღებს ბერძნული მითიდან პიგმალიონის შესახებ. კვიპროსის პრინცმა, რომელიც ამავე დროს მოქანდაკე იყო, გამოკვეთა ძალიან ლამაზი ქანდაკება, რომელიც იყო მისი წარმოსახვის სრულყოფილი ქალბატონი, და შეუყვარდა ის. მისი სიყვარული იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით ქანდაკება გაცოცხლდა.

„პიგმალიონის ეფექტი“, რომელსაც ხანდახან უწოდებენ „როზენტალის ეფექტს“ იმ მკვლევარის საპატივსაცემოდ, რომელმაც ის შეისწავლა (Rosenthal & Jacobson, 1968), არის შედეგი იმ შეხედულებებისა, რომ თუ მასწავლებელი დადებითად აფასებს თავის სტუდენტებს, ეს უმჯობესებთ მათ თვით-ეფექტიანობას, რაც თავის მხრივ მათ ქმედებებს გააუმჯობესებს.

ტერმინი „თვით-შესრულებადი წინასწარმეტყველება“ შემოიღო სოციოლოგმა ტომასმა (Thomas, 1928). მისი აზრით, მასწავლებელი აყალიბებს მოლოდინს და იქცევა კიდევაც ამ შეხედულებების შესაბამისად. საბოლოო ჯამში კი მისი სტუდენტები მთლიანად იქცევიან მისი მოლოდინის შესატყვისად.

პიგმალიონის ეფექტი და თვით-შესრულებადი წინასწარმეტყველება კავშირშია მასწავლებლის სტერეოტიპებთან. მასწავლებლის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი სტერეოტიპი საშიშია, რადგან ამ შემთხვევაში მასწავლებელი ხდება „ბრმა“ სტუდენტთა ქცევისა და მიღწევების მიმართ. მასწავლებლებს უნდა ვასწავლოთ არ ჩამოაყალიბონ სტერეოტიპები, გამოიკვლიონ ის მიზეზები, თუ რატომ არ აკეთებენ სტუდენტები საშინაო დავალებას ან არ იღებენ მონაწილეობას საკლასო აქტივობებში, და უნდა დაეხმარონ სტუდენტებს განივითარონ სწავლის ეფექტური სტრატეგიები იმის ნაცვლად, რომ მოეპყრონ მათ როგორც უნიჭობებს.

როგორც მკვლევარის მიერ შედგენილი 1.1. გამოსახულებიდან ჩანს, მასწავლებელი არის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი, ვისზე დაყრდნობითაც სტუდენტები მსჯელობენ საკუთარ თვით-ეფექტიანობაზე. როდესაც მასწავლებელს უვითარდება შეხედულება სტუდენტების უნართან მიმართებაში, რომ ისინი შეძლებენ წარმატებას მიაღწიონ, და აქვს მაღალი მოლოდინი, თანაც ამ შეხედულების დემონსტრირებას აკეთებს, სტუდენტთა თვით-შეფასება იზრდება, ისინი ხდებიან უფრო მეტად მოტივირებულები ისწავლონ უკეთესად იმისათვის, რომ შეინარჩუნონ როგორც მასწავლებლის ნდობა, ისე საკუთარი თავდაჯერება. მასწავლებელმა შეიძლება გამოხატოს ეს შეხედულებები როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად.




გამოსახულება 1.1. სტუდენტთა თვით-ეფექტიანობის ფაქტორები

გამოსახულება 1.2 მომზადებულია მკვლევარის მიერ და გვიჩვენებს, თუ როგორ მუშაობს პიგმალიონის ეფექტი ან თვით-შესრულებადი წინასწარმეტყველება. მასწავლებელი აკვირდება სტუდენტებს, რათა ჩამოუყალიბდეს საკუთარი მოსაზრება მათ IQ-ზე (ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტზე), ზოგადად სწავლის მოტივაციაზე და კონკრეტულად მისი საგნის შესწავლის მოტივაციაზე. ამ

მონაცემებზე დაყრდნობით მასწავლებელი კარგად ეპყრობა იმ სტუდენტებს, რომლებიც მისი აზრით ნიჭიერები არიან და უფრო ცუდად - მათ, ვინც არ ამართლებენ მის იმედებს. იმ სტუდენტების უმრავლესობას, რომელთაც დადებითად ექცევა მასწავლებელი, სურვილი უჩნდებათ გააგრძელონ მუშაობა, რადგან იციან, რომ მათი მცდელობა დაფასებული იქნება. თუმცა, ზოგ სტუდენტს არ ანაღვლებს, თუ როგორ ეპყრობა მასწავლებელი და არიან (თითქმის) თვით-დარწმუნებულნი. სტუდენტების უმრავლესობა, რომელთაც არ ეპყრობიან დადებითად, კარგავენ სწავლის მოტივაციას. მხოლოდ ისინი, რომლებიც მყარად არიან საკუთარ შესაძლებლობებში დაჯერებულები, ეცდებიან, რომ დაუმტკიცონ მასწავლებელს, რომ ის სცდება მათ შეფასებაში. რა თქმა უნდა, აქტივობებში ჩართული და თავდაჯერებული სტუდენტები უფრო მეტს იღებენ გაკვეთილიდან, ვიდრე ისინი, ვინც არ არიან გაკვეთილში ჩართულები და მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ არ ჩაიჭრან საბოლოო გამოცდაზე, რათა მინიმალური ქულა მაინც მიიღონ კურსის დასასრულებლად.

წინამდებარე კვლევა შეეცდება განსაზღვროს ის, თუ რამდენად იქნება პიგმალიონის ეფექტი თვით-შესრულებადი წინასწარმეტყველების სახე და დაეხმარებათ შემსწავლელს გაიუმჯობესონ მოსმენის უნარ-ჩვევები და შეამცირონ შფოთვა მოსმენისას.



გამოსახულება 1.2. პიგმალიონის ეფექტის მოქმედება

როზენტალისა და ჯაკობსონის კვლევა (Rosenthal & Jacobson, 1968) იყო პიონერი ამ სფეროში. ბევრი სხვა კვლევაც (Claire & Fiske, 1998; Jones, 1986, 1990; Rist, 1970; Schultz & Oskamp, 2000; Taylor, 1992; Weinstein & McKown, 1998), რომელიც მის შემდეგ განხორციელდა, თითქმის იგივე აღმოჩენებზე გავიდა და მკვლევარები მტკიცედ შეთანხმდნენ სამ რამეზე:

- 1) მასწავლებლის მოლოდინი ხშირად გადაიქცევა სტერეოტიპებად;
- 2) მასწავლებლის მოლოდინს გავლენა აქვს სწავლის შედეგებზე;
- 3) მასწავლებლის მოლოდინმა შესაძლოა გამოიწვიოს უთანასწორობა და უსამართლობა.

თუმცა, ის შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა მოგვიანებით (Chang, 2011; Ruthert and Reed, 2001), უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, რაც გასაგებია, რადგან

მასწავლებლის მოლოდინი უფრო თანმხლებ ცვლადაა მიჩნეული (დამოუკიდებელ ცვლადად მოიაზრება სწავლება და სწავლის მეთოდები და სტრატეგიები, ისევე როგორც საკლასო მენეჯმენტი), ვიდრე დამოუკიდებელ ცვლადად. თანაც, ის ერთერთია იმ მრავალ თანმხლებ ცვლადს შორის, როგორცაა, სახელდობრ, სტუდენტთა სოციო-ეკონომიური სტატუსი, კულტურა, სქესი და სხვა. ასე რომ მისი გავლენა უფრო ირიბია (სტუდენტთა თვით-დაჯერებისა და მოტივაციის ამაღლების გზით შფოთვის შემცირება), ვიდრე პირდაპირი. თუმცა ის ზოგად ტენდენციას წარმოადგენს, პიგმალიონის ეფექტმა შესაძლოა ზოგჯერ არ იმუშაოს რამოდენიმე მიზეზის გამო (მაგალითად, სტუდენტის თვით-ეფექტიანობა დაბალია იმ მომენტისთვის, როცა ის მასწავლებელს ხვდება, მაშინ მარტივი არ არის გადალახო უკვე არსებული წარმოდგენა საკუთარ თავზე როგორც შემსწავლელზე და ამას, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება). განათლების ფსიქოლოგებმა (Elashoff & Snow, 1971; Jensen, 1969; Snow, 1969; Thorndike, 1968) კარგ სწავლებაზე აქცენტის გაკეთება დაუპირისპირეს თანატოლთა და მასწავლებელთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

მოსმენა არის რთული უნარ-ჩვევა. მისი განვითარება და გამოყენება ნაჩვენებია ქვევით მოცემულ გამოსახულება 1.3-ში.

კრაშენის მიხედვით (Krashen, 1985;1995), მოსმენა არის გასაგები ინფორმაციის მიღების ერთად-ერთი წყარო იმ ბავშვისთვის, რომელიც მშობლიურ ენაზე საუბარს სწავლობს, და ძალიან მნიშვნელოვანი წყარო გასაგები ინფორმაციისა იმ მოზრდილი შემსწავლელისთვის, რომლებიც ივითარებენ მშობლიური და მეორე / უცხო ენის უნარ-ჩვევებს. წარმოუდგენელია ენის შესწავლა, თუ შემსწავლელები მოსმენის უნარ-ჩვევებს არ დაეუფლებიან.

საინტერესოა, რომ სტუდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოსმენის სავარჯიშოები საკლასო ოთახში ძალიან მარტივია (Doghonadze, Çepik, & Kapukaya, 2015; Morchio, 2009). ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია მშობლიურ ენაზე მოსმენასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, უმარტივესია შემსწავლელისთვის ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს შორის. მორჩიო (Morchio, 2009), რომელმაც ჩაატარა კვლევა არგენტინული

სკოლების მეშვიდე კლასელებზე, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს შეხედულება შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული:


- სტუდენტებმა მის კვლევაში წინასწარ იცოდნენ ტექსტში შემავალი სიტყვები და გრამატიკა;
- ტექსტის მოსმენა ორჯერ მიმდინარეობდა რთული ტექსტების შემთხვევაში;
- მასწავლებელი აკეთებდა კომენტარებს მშობლიურ ენაზე, რათა დახმარებოდა სტუდენტებს ტექსტის გაგებაში.

როსტი (Rost, 1999, გვ. 225) მოსმენის სირთულეებს ყოფს სამ ჯგუფად: ლინგვისტური ასპექტი (ლინგვისტური ცოდნის ნაკლებობა), მიხედვის ასპექტი (არაადექვატური სტრატეგიის არჩევა) და პროცედურული ასპექტი (არაკვალიფიციური პასუხი).

ჯის (Ji, 2015) მიხედვით, რომელმაც ჩაატარა კვლევა ჩინეთის ერთერთ უნივერსიტეტში 60 შემთხვევით შერჩეულ უცხო ენების დეპარტამენტის სტუდენტთან, რომელთაც ჰქონდათ ინგლისურის როგორც უცხო ენის შესწავლის 9-წლიანი გამოცდილება, სტუდენტებს მოსმენის დროს აღმოაცნდათ შემდეგი სირთულეები:

- თვით-დაჯერებულობის ნაკლებობა, მეტყველების პრეზენტცია (აქცენტი, ჩაწერილი მეტყველება, ნაცნობი / უცნობი თანამოსაუბრე, საუბრის ხარისხი),
- ინფორმაციის მიღების ხარვეზები (უცნობი სიტყვები, ბუნებრივი / ტექნიკური ხმაური, შინაარსის, სიტუაციისა და თემის ვერგაგება),
- ადეკვატური სტრატეგიის შერჩევა (ინფორმაციის დამატებითი წყაროს მიუწვდომლობა, მნიშვნელობის მიხედვის სუსტი სტრატეგიები),
- ენობრივი პრობლემები (ფორმალური ენა, როგორც ლექციის ან პირდაპირი ეთერის შემთხვევაში),
- მოსასმენი მასალის შინაარსი (ფონური ინფორმაციის არქონა),

- ვიზუალური დამხმარე მასალის (სახის გამომეტყველება და მიმიკა, ჟესტები, თვალის კონტაქტი და პოზა, გარემო პირობები) არარსებობა.



გამოსახულება 1.3. მოსმენის რთული შემეცნებითი ბუნება (წყარო: Rivers &Temperly, 1998, გვ.4)

შფოთვა არის ნეიროფიზიოლოგიური რეაქცია (ხშირად უცნობი) პოტენციური საფრთხის ან არასასიამოვნო სიტუაციის მიმართ. ის ხშირად ეხება გაურკვეველი მარცხის შიშს, რომელიც ხშირად უბიძგებს პიროვნებას არ იმოქმედოს, სიჩუმე შეინარჩუნოს და ა.შ. ზოგიერთ ადამიანს ურჩევია მარცხი განიცადოს არაფრის კეთებაში, ვიდრე რაიმეს კეთების შედეგად. ისინი აღიქვამენ ასეთ მარცხს როგორც უფრო სამარცხვინოს.

ცოტაოდენ შფოთვას შეუძლია დაეხმაროს კიდევაც ადამიანს (იმათ გარდა, ვისაც შფოთვა ხასიათის თვისებად აქვთ) კონცენტრაციის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაქსიმალურად გამომჟღავნებაში. ამას ეწოდება ფასილიტატორტი შფოთვა. მეორეს მხრივ, ძლიერ შფოთვას ყოველთვის აქვს უარყოფითი გავლენა: პიროვნებას ავიწყდება რაც იცის და ერთმანეთში ურევს ყველაფერს, ის კარგავს საუბრის და მოძრაობის უნარს. შფოთვის ხელისშემწყობსა და ხელისშემშლელ დონეებს შორის ზღვარი ინდივიდუალურია, ვიღაცისთვის საკმაოდ დაბალი, ვიღაცისთვის კი - საკმაოდ მაღალი.

მკვლევარები (Brown, 2000; Gardner & MacIntyre, 1993; Horwitz, Horwitz & Cope, 1986; MacIntyre & Gardner, 1991; MacIntyre & Gregersen, 2012) მივიდნენ დასკვნამდე, რომ უცხო ენის სწავლისას და გამოყენებისას წარმოშობილი შფოთვა არის სპეციალური ტიპის შფოთვა და ის ფართოდაა გავრცელებული. მათ აღმოაჩინეს, რომ სტუდენტთა ნერვიულობა მეორე / უცხო ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტესტირებისას უფრო ძლიერია, ვიდრე მშობლიური ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტესტირებისას. მათ აგრეთვე აღმოაჩინეს, რომ, თუკი შფოთვა გონივრულ ფარგლებშია, ის ეხმარება უმეტეს სტუდენტს სირთულეების დაძლევაში, ხოლო ზოგიერთ სტუდენტს ტესტირებისას შფოთვის ნებისმიერი დონე უბლოკავს ტვინს და არ აძლევს საშუალებას დემონსტრირება გაუკეთოს იმ უნარებს, რაც მას გააჩნია. მაღალი დონის შფოთვას უცხო ენის შესწავლისას გავლენა აქვს, ერთის მხრივ, უნარზე ისწავლონ/შეიტვისონ ენა და, მეორეს მხრივ, დემონსტრირება გაუკეთონ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც პიროვნებას უკვე გააჩნია (არა მხოლოდ საგამოცდო სიტუაციებში, არამედ შესაწავლ ენაზე რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში საუბრის მცდელობისასაც). რაც შეეხება რეალურ, ცხოვრებისეულ მოსაშენ

სიტუაციებს, ერთერთი ყველაზე რთული რამ არის სრულიად უცხო ადამიანის საუბრის მოსმენა (ვისი მეტყველების თავისებურებები ან/და ფონური ცოდნა არ არის ცნობილი მსმენელისთვის). ეს ხშირად საკმაოდ რთულია გამოცდილი ენის მცოდნეებისთვისაც კი.

სკარსელა და ოქსფორდი (Scarcella & Oxford, 1992) ამტკიცებენ, რომ მთავარი მიზეზი მოსმენისას შფოთვის წარმოშობისა უცხო ენის შემსწავლელ კლასში არის დავალების ჭარბი სირთულე. ჯოინერი (Joiner, 1986) ასახელებს სტუდენტების თვით-შეფასებას როგორც შფოთვის წარმოშობის კიდევ ერთ მიზეზს. დაბალი თვით-შეფასება შესაძლოა გამოწვეული იყოს უკვე განცდილი მარცხისგან და ამავდროულად მასწავლებლისა ან/და თანატოლების რეაქციისგან ამ მარცხის მომენტში. ჰორვიცი (Horwits, 1987) ეძებს დაბალი თვით-შეფასების მიზეზებს სტუდენტთა პერფექციონიზმში. შარიფმა & ფერდოუსმა (Sharif & Ferdous, 2012) კვლევა ჩაატარეს ერთერთი ირანული უნივერსიტეტის 60 სტუდენტზე. რესპოდენტების გამოკითხვის შედეგად მოსმენისას წარმოშობილი შფოთვის შემდეგი მიზეზები გამოვლინდა: მოტივაციის ნაკლებობა, შეცდომების დაშვების შიში, უცხო ენაზე მასალის მოსმენის გამოცდილების ნაკლებობა, ის, რომ მასწავლებლის კრიტიკას თან არ მოსდევდა რეკომენდაციები თუ როგორ გაიუმჯობესონ ცოდნა და უნარ-ჩვევები, ფონური ცოდნის ნაკლებობა ტექსტის თემასთან დაკავშირებით, ტექსტის ლინგვისტური სირთულე, ინფორმაციის გადამუშავების დროის სიმცირე, ჩაწერილი მეტყველების ხარისხი და ვიზუალური საყრდენის არარსებობა.

არა მხოლოდ მოსმენის სუსტ უნარ-ჩვევებს შეუძლიათ გამოიწვიონ შფოთვა მოსმენისას, არამედ შესაძლოა პირიქითაც მოსმენის პროცესი წარმოშობილ შფოთვამ (სწორად თუ შეცდომით დამყარებულია დაბალ თვით-ეფექტიანობაზე უცხო ენაზე მასალის მოსმენისას) შესაძლოა დაბლოკოს მსმენელის უნარი გაიგოს ზეპირი გამონათქვამი. ჰორვიცი (Horwits, 1987) განსაზღვრავს ამ უარყოფით თვით-შეფასებას როგორც არასწორ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც, იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს ენის „კარგი“ შემსწავლელი, ის უნდა ფლობდეს იდეალურ, მშობლიური ენის მსგავს წარმოთქმას, უნდა იცოდეს ას ათასობით სიტყვა, იყოს

გრამატიკის ექსპერტი, ჰქონდეს შესასწავლ ენაზე საუბრის გამოცდილება ამ ენაზე როგორც მშობლიურზე მოლაპარაკებთან და ჰქონდეს ენის შესწავლის ბუნებრივი ნიჭი. იმის შეგრძნებამ, რომ დავალების შესრულება შეუძლებელია (გარდა იმ შემთხვევისა, თუ თქვენ რამოდენიმე წელი ენის სწავლაში არ გაატარეთ) შესაძლოა გამოიწვიოს ძლიერი შფოთვა. ეს შესაძლოა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხშირად შფოთვას სწორედ მცოდნე სტუდენტები განიცდიან: ისინი მიჩვეულნი არიან კარგი სტუდენტის სტატუსს და არ სურთ კარგი სტუდენტის სახელის დაკარგვა.

მოსმენისას წარმოშობილი / გაზრდილი შფოთვის მიზეზები დიდად ემთხვევა ენის შესწავლისას წარმოშობილი შფოთვის გამომწვევ მიზეზებს:

- შეგრძნება, რომ ტექსტი არის ეფემერული (ყველა ვერ იჩენს სიმამაცეს, რომ რეგულარულად შეაწყვეტინოს თანამოსაუბრეს ლაპარაკი და სთხოვოს ნათქვამის გამეორება; ბევრ არაპირისპირ სიტუაციაში მოსმენა განმეორებით უბრალოდ შეუძლებელია) (Vandergrift, 2011);
- ლინგვისტური (გრამატიკული, ლექსიკური) ცოდნის ნაკლებობა (Giovannelli, 2015);
- მოსმენის (განსაკუთრებით ავთენტურ სიტუაციებში) გამოცდილების ნაკლებობა (Melanlioglu, 2013);
- ტექსტის ლინგვისტური და შინაარსობრივი სირთულის დონე (Kiliç & Uçkun, 2013);
- ყურადღების სხვადასხვა გამფანტავი ფაქტორები, როგორცაა ხმაური (Samuels, 1984), მოსაუბრის წარმოთქმის თავისებურება, საუბრის ტემპი, და სხვ. (Xu, 2011), მსმენელის სმენადაქვეითებულობა (Ebbels et al., 2014),
- მოსმენილის გააზრების სტრატეგიების ნაკლებობა (Bekleyen, 2009),
- მოსმენის უნარის უარყოფითი თვით-შეფასება (Joiner, 1986), თავდაჯერებულობის ნაკლებობა (Dunkel, 1991).

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გზები, რომელიც შეამცირებენ მოსმენისას წარმოშობილ შფოთვას უცხო ენის გაკვეთილზე, შემდეგია:

- მოსმენის დავალებების ხელახალი შესრულება მანამ, სანამ ენის შემსწავლელს არ ჩამოუყალიბდება თავდაჯერება და სტრატეგიები;
- ლინგვისტურ კომპეტენციაზე მუშაობა;
- უცხო ენაზე მოსასმენი სავარჯიშოების შესრულება როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთაც;
- მოსმენის სტრატეგიების განვითარება პრეზენტაციების, დისკუსიების და პრაქტიკის გზით;
- ნაცნობი თემატიკის გამოყენება, ისეთი ტექსტის წინასწარ მიცემა წასაკითხად, თუნდაც მშობლიურ ენაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს ფონური ცოდნით;
- პიგმალიონის ეფექტი: მასწავლებელი დემონსტრირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ მას სჯერავს, რომ სტუდენტებს უცხო ენაზე ეფექტურად მოსმენის უნარი აქვთ.

თავი 2. მოსმენის ეფექტური სწავლების მოდელი პიგმალიონის ეფექტის გამოყენებით

ფაქტიურად, რომ შევადაროთ სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომელთაც პირდაპირი გავლენა აქვთ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე, პიგმალიონის ეფექტს, შფოთვის, მოტივაციას, თვით-დაჯერებისა და სხვა აფექტურ ცვლადებს მსგავსად, ირიბი გავლენა აქვს ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მოსმენის უნარ-ჩვევების ჩათვლით. მას შეუძლია შეამციროს შფოთვა, მიეხმაროს სტუდენტებს ყურადღების კონცენტრაციაში, გაზარდოს მათი თავდაჯერებულობა და მოტივაცია და ამდენად შეუნარჩუნოს სტუდენტებს დავალებაზე კონცენტრაცია

და აქტიურად ჩააბას საგაკვეთილო პროცესში. სტუდენტები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის თანადგომას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ განმეორებითი მარცხი განიცადეს, აგრძელებენ შრომას, სანამ საბოლოო შედეგს არ მიაღწევენ.

მასწავლებლის ემოციური თანადგომის გავლენა სტუდენტთა სწავლასი ჩართულობაზე კარგად აქვს ნაჩვენები გუდენოუს (Goodenow, 1993) და ვენტზელს (Wentzel, 1999). რაიანმა და პატრიკმა (Ryan & Patrick, 2001) გამოარკვეეს, რომ მასწავლებლის მხრიდან მხარდაჭერა მართლაც რომ მნიშვნელოვანია სტუდენტთა სწავლის სტრატეგიების განვითარების პროცესში. ჰორვიცი (Horwitz, 2008) აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მასწავლებლის მხრიდან მხარდაჭერა ეხმარება სტუდენტებს ენის სწავლისა და გამოყენების დროს წარმოშობილი შფოთვის შემცირებაში.

იანგი (Young, 1992) განიხილავს სამ ფაქტორს: სტუდენტს, მასწავლებელს და სწავლების მეთოდებს - როგორც ენის სწავლისა და გამოყენების დროს წარმოშობილი შფოთვის წყაროებს. მისი აზრით, მასწავლებლის დამოკიდებულებას ენის სწავლების, მასწავლებლისა და სტუდენტების ურთიერთობის, გაკვეთილისა და შეფასების პროცედურების მიმართ შეუძლიათ გაზარდოს ან შეამციროს სტუდენტთა შფოთვა სწავლისას. ყველა ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია პიგმალიონის ეფექტთან. მასწავლებელი, რომელსაც სჯერა, რომ ენის სწავლა საკმაოდ რთულია ზოგიერთი სტუდენტისთვის და სიტყვიერად ან გარკვეული ქცევით თავის ამ შეხედულების დემონტრირებას ახდენს სტუდენტის წინაშე, ზრდის სტუდენტის შფოთვას და პირიქით, მასწავლებელს, რომელსაც სჯერა, რომ უცხო ენის შესწავლა (მოსმენის ჩათვლით) არის რაღაც, რასაც მისი სტუდენტები თავს წარმატებულად გაართმევენ, გეგმავს შესაბამის აქტივობებს, ცდილობს გაათავისუფლოს ტესტირება ზედმეტი დამაბულობისგან, შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს იყვნენ თავდაჯერებულები, ეს შეუმცირებს მათ შფოთვას და წარმატებას მიაღწევენ სწავლაშიც და ტესტირებაშიც.

ამ ეტაპზე არ არსებობს ნათელი განმარტება ენის შესწავლის პროცესში არსებულ 'შეხედულებებთან' დაკავშირებით. ენის სწავლის შესახებ შეხედულებების კვლევაში პიონერი ელენ ჰორვიცი თავის სტატიაში ეხება მის განმარტებებს (Horwitz, 1985;


1987; 1988) და ის იყენებს ორაზროვან ტერმინებს, როგორცაა, 'პრეკონცეფცია' (Horwitz, 1985), 'წინასწარი აზრები' (Horwitz, 1987) და 'წინასწარაკვიატებული იდეები' (Horwitz, 1988). თავის ინსტრუმენტში BALLI (რაც გულისხმობს კითვარს, რომლის საშუალებითაც შეიძლება განისაზღვროს მასწავლებლის შეხედულებები ენის სწავლების შესახებ) ჰორვიცი (Horwitz, 1988) იყენებს სიტყვას 'მოსაზრება', რომ ისაუბროს შეხედულებებზე. ბევრი მკვლევარი განიხილავს შეხედულებებს ენის სწავლის შესახებ როგორც მეტაკოგნიტური ცოდნის ნაწილს, რასაც ვენდენი (Wenden, 1998) არ ეთანხმება. ის ითვალისწინებს, რომ ორივე ტერმინი ერთმანეთის ურთიერთშემცვლელია. პახარესი (Pajares, 1992) ამ ორაზროვნების განმარტებას კიდევ წინ სწევს და უმატებს სინონიმთა სიას 'დამოკიდებულებას', 'შემეცნებით სისტემებს', 'ბუნდოვან და ზუსტ თეორიებს', 'პრაქტიკის წესებს' და სხვას. პახარესს ჰგონია, რომ გაუგებრობა ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლევარები იყენებენ სიტყვას „ცოდნა“ იმის ნაცვლად, რომ სცადონ გამოიყენონ სიტყვა „შეხედულება“.

შეხედულებები ენის სწავლა-სწავლების შესახებ გამოკვლეულია სხვადასხვა ნაშრომში, როგორც მოქმედი, ისე დამწყები მასწავლებლებისთვის. არსებობს ჰიპოთეზა მასწავლებლის შეხედულებების გავლენის შესახებ სტუდენტების შეხედულებებზე. მასწავლებლის შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს სტუდენტთა შეხედულებებს, მაგრამ მათ გარკვეული გავლენა აქვს მათზე. მაგალითად, კერნის (Kern, 1995) ნაშრომში მასწავლებელს სჯეროდა, რომ საუბარი უფრო მარტივი იყო, ვიდრე მოსმენა, თუმცა სტუდენტები ასე არ ფიქრობდნენ. თუმცა მასწავლებლის დადებით შეხედულებას ძლიერი გავლენა შეიძლება არ ჰქონდა სტუდენტთა შეხედულებაზე, მაგრამ მასწავლებლის უარყოფით შეხედულებას სტუდენტთა სწავლის უნარზე ძლიერი გავლენა ჰქონდა სტუდენტთა თვით-დაჯერების დაბლა დაწევაზე.

მასწავლებლის შეხედულებებს იმდნად ღრმად აქვს ფესვები გადგმული მასწავლებლის გონებაში, რომ, გამომჟღავნდება ისინი თუ არა ვერბალურად, მათ მაინც აქვთ გავლენა ყველა იმ საქმიანობაზე, რასაც მასწავლებელი ეწევა - აგვარებს სტუდენტებთან ურთიერთობას, წარმოადგენს მასალას თუ აფასებს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (Williams & Burden, 1997).


მასწავლებლის შეხედულებასა და მის სამუშაო პრაქტიკას შორის ურთიერთობამ მკვლევარებს მისი განვითარების გაგების უფრო ღრმა ინტერესი გაუღვიძა. მოსაზრება არის გამოთქმული იმის შესახებ, რომ ახალბედა მასწავლებლები, რომლებმაც სწავლა დაიწყეს წინასწარმეტყველური იდეებით, მალე განიცდიდნენ ენის ფორმალური სწავლების გავლენას და ივითარებდნენ კონკრეტულ შეხედულებას ფორმალური სწავლების გავლენით. მკვლევარებს შორის ყველაზე პოპულარული ფენომენი არის ლორტის (Lortie, 1975) 'სწავლა დაკვირვებით', სადაც ის სთავაზობს ახალბედა მასწავლებლებს დაიწყონ სწავლება კლასში იმ შეგრძნებით, რომ ისინი სტუდენტებია და მათი შეხედულების განვითარება იწყება ადრეული ფაზიდან და მუდმივად გრძელდება, რომ მიმდინარე საკლასო აქტივობები მასწავლებლის ასახავენ ამ პროცესს. ჯონსონის (Jonhson, 1994) კვლევა ამტკიცებს, რომ მასწავლებლთა პრაქტიკას აშკარად დიდი გავლენა აქვს მათი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

იმისათვის, რომ შეგვეჯამებინა ეს ქვეთავი, შეიქმნა გამოსახულებები 2.1. და 2.2. ისინი ილუსტრირებას აკეთებენ იმას, თუ მასწავლებლის შეხედულებების რომელ ასპექტს აქვს პირდაპირი გავლენა სტუდენტთა სწავლაზე და ასევე მასწავლებლის ხედვას როგორი გავლენა აქვს თვით მასწავლებლის ქცევაზე და, ირიბად, მასწავლებლის ქცევას - სტუდენტთა ქცევაზე.



ცხრილი 2.1. სტუდენტებზე მასწავლებლის დადებითი შეხედულებები გავლენა სტუდენტთა სწავლაზე (შექმნილია მკვლევარის მიერ)

როდესაც მასწავლებელი ენთუზიაზმითაა სავსე იმ კურსის მიმართ, რომელსაც ასწავლის, ის აჩვენებს თავის სტუდენტებს, რომ ის კურსი გამოსადეგია მათი მომავალი ცხოვრებისთვის და ამავდროულად არის შესწავლადი. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა, გააცნობიერონ, რომ მათ არამარტო ზოგადად სჭირდებათ ინგლისურის როგორც უცხო ენის უნარ-ჩვევები, არამედ რომ ის სილაბუსი, რომლითაც ისინი სწავლობენ, შექმნილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და რომ მასში მოცემული კონკრეტული მასალა საინტერესოცაა, გამოსადეგიც და სწავლადიც. რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მოცემულ დისერტაციაში, არის ის, რომ მასწავლებლის დადებითი შეხედულებები სტუდენტთა უნარზე შეისწავლონ ინგლისური როგორც უცხო ენა ქმნიან უსაფრთხო ფსიქოლოგიურ გარემოს გაკვეთილზე, და ამავდროულად იზრდება სტუდენტთა თვით-ეფექტიანობა.





გამოსახულება 2.2. მასწავლებლის შეხედულებები და ქცევა და მათი გავლენა ინგლისურის სწავლებაზე (შექმნილია მკვლევარის მიერ)

მასწავლებელი, რომელიც სტუდენტზეა ორიენტირებული, აქვს დემოკრატიული ხედვა კურსისა და ყოველი გაკვეთილის დაგეგმვისას, მხედველობაში იღებს სტუდენტთა ინტერესებს, საჭიროებებს და უნარებს და უზრუნველყოფს სტუდენტთა უკეთეს ჩართულობას საგაკვეთილო აქტივობებში. მასწავლებელმა იცის, რომ სწავლა არის აქტიური პროცესი და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მრავალფეროვან ენობრივ (მოსმენის) სავარჯიშოებს, ზრდის სტუდენტთა სწავლის დროს და უზრუნველყოფს მის უკეთესად გამოყენებას, რასაც, თავის მხრივ, დადებითი გავლენა აქვს სტუდენტთა ენობრივ (მოსმენის) უნარ-ჩვევებზე. სავარჯიშოები უნდა იყოს

ავთენტური, რათა ხელი შეუწყონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა რეალურ ცხოვრებაშიც. სტუდენტები არა მხოლოდ ისიამოვნებენ, არამედ სარგებელსაც ნახავენ ასეთი სავარჯიშოებისგან. მასწავლებელს გააჩნია საკუთარი შეხედულება ენის (მოსმენის) სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობაზე, რასაც ის გაუზიარებს სტუდენტებს და გაუკეთებს სტიმულირებას, რომ მათაც გამოიყენონ ისინი. მაღალ შემეცნებით დონეზე სწავლა უფრო მრავალმნიშვნელოვანი და ამავდროულად ეფექტურიც გახდება სტუდენტებისთვის. შეცდომებთან გამკლავება ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ენის სწავლისას. თუ მასწავლებელი გააცნობიერებს, რომ სწავლა შეცდომების გარეშე წარმოუდგენელია, ის გამოიყენებს კონსტრუქციულ კრიტიკას სტუდენტების უბრალოდ დასჯის ნაცვლად შეცდომების დაშვების გამო. მაშინ თავიდან იქნება აცილებული შეცდომების 'გამყარება' და შესაბამისად სწავლის შფოთვაც შემცირდება. და ბოლოს, განათლების (ენის სწავლის) პროცესის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია მასწავლებლის მიერ შეფასების შესახებ როგორც განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილის შესახებ მოსაზრების ქონა. ის მიუხმარება მასწავლებელს შეამციროს სტრესი არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ შემაჯამებელი შეფასების დროსაც.

ბერნე (Berne, 1995) რჩევას აძლევს ენის მასწავლებლებს, რომ მოსასმენი სავარჯიშოები დაკვირვებით იქნეს არჩეული, რადგან მათ შესაძლოა გამოიწვიონ სტუდენტთა მაღალი დონის შფოთვა, რაც სწავლის პროცესს არაეფექტურს გახდის. პირველ რიგში დავალება უნდა გასაგებად იყოს ფორმულირებული. თუ სტუდენტი ვერ გაიგებს, თუ რას ელოდებიან მისგან რომ გააკეთოს, შფოთვის დონე მოიმატებს. ბერნე რეკომენდაციას გვაძლევს, რომ პირდაპირ მოსასმენი სავარჯიშოებით კი არ დავიწყოთ მუშაობა, არამედ ჯერ გამოვიყენოთ მოსმენის-წინა დავალებები იმისათვის, რომ შფოთვის გაზრდა ავიცილოთ თავიდან. ეს შესაძლოა იყოს კითხვა-პასუხის სავარჯიშო (რომ გამოვარკვიოთ მოსწავლეების ფონური ცოდნა), გონებრივი იერიში იმ სიტყვებზე, რომელიც შესაძლოა შეხვდეთ მოსასმენ ტექსტში, მოსმენისას ტექსტის გაგების სტრატეგიების განხილვა, უხმო ვიდუო ჩანაწერის ყურება, და სათაურის ან პირველი წინადადების მიხედვით ტექსტის შინაარსის წინასწარმეტყველება.

მასწავლებლის ან ერთმანეთის მოსმენაც აუდირების ბუნებრივი სავარჯიშოა და შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული. შფოთვის დონე ასეთი აქტივობების გამოყენებისას უფრო დაბალია, ვიდრე ჩანაწერის მოსმენისას, ეს ფაქტი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პიგმალიონის ეფექტში.

თუკი ჩვენ ვიყენებთ მოსმენის ისეთ დავალებებს, როგორცაა სწორი / მცდარი პასუხი, მრავალიდან ერთი პასუხის არჩევა ან კითხვებზე პასუხის გაცემა, კარგი იდეაა, რომ დავალება სტუდენტებს მიეცეთ მანამ, სანამ მოსმენას დაიწყებენ. თუკი ისინი უმიზნოდ მოუსმენენ ჩანაწერს, ერთის მხრივ, შესაძლოა უგულისყუროდ მოუსმინონ, მეორეს მხრივ, ვერ შეასრულონ დავალება, მიუხედავად იმისა, რომ მოსმენის დროს თითქოს იგებდნენ ყველაფერს. რაც უფრო დიდია მოსმენის ნაწყვეტი, მით მეტადაა ეს რეკომენდაცია მნიშვნელოვანი.

როგორც აღინიშნა, მოსმენის დავალებებმა, განსაკუთრებით მათმა, რომლებიც ტექსტის ფორმატისაა, შესაძლოა გაზარდოს სტუდენტთა შფოთვა. ამგვარად, მასწავლებლის მოვალეობაა განავითაროს მოსმენის ისეთი სავარჯიშოები ან ისე მიაწოდოს ეს სავარჯიშოები სტუდენტებს, რომ ძალიან არ იღელვონ მოსმენისას.

დღესდღეობით სტუდენტებს უადვილდებათ თანამედროვე ტექნოლოგიურ მოწყობილობათან ურთიერთობა, ამის გამო მათი გამოყენება მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაში ნამდვილად ეფექტურია. მასწავლებელი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს, სტუდენტებში სარგებლობს განსაკუთრებული პოპულარობით როგორც მათსავით „ნეთიზენი“ (ინტერნეტ-სივრცის „მოქლლქე“). ევანსის (Evans, 2008), კიმის (Kim, 2011), ლაზარის (Lazzari, 2009), მაქკინეის, დიკის და ლუბერის (McKinney, Dyck & Luber, 2009), როსელ-აგუილარისა (Rosell-Aguilar, 2007) და თორნისა და ფაინის (Thorne & Payne, 2005) მიხედვით, ინტერნეტიდან ატვირთული ციფრული ჩანაწერები, პოდკასტინგი, რომელიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით სასარგებლოა მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით უკეთ უზრუნველყოფენ მოსმენის ავთენტურ ან / და სასწავლო პრაქტიკას, რომელიც გამოიყენება ყველგან და ყოველთვის. ის, ერთის

მხრივ, ეხმარება შემსწავლელს მოდუნდეს (რადგან მოსმენა არის არაფორმალური) და, მეორეს მხრივ, ზრდის მოსმენის დროსა და მოტივაციას.

თავი 3. პიგმალიონის ეფექტის გავლენის კვლევა მოსმენის პროცესში წარმოშობილ შფოთვაზე და მოსმენის უნარ-ჩვევებზე ერაყის ქურთისტანის რეგიონის უნივერსიტეტებში

ეს თავი წარმოადგენს კვლევის დაგეგმვასა და კვლევის მიზნების მიღწევის გზებს. ამ თავში დეტალურადაა აღწერილი ის საფეხურები, მონაცემთა მოგროვების მეთოდოლოგია, მონაცემთა ანალიზი, რომლებიც მკვლევარის მიერაა განხორციელებული. ამ თავში მოცემულია ერაყში ინგლისური ენის (განსაკუთრებით, მოსმენის) სწავლების შესახებ გარკვეული ინფორმაცია.

იმისათვის, რომ შეგვემოწმებინა დისერტაციაში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა, ჩატარდა ორი კვლევა - ანკეტირება (კითხვარი, რომელიც ინგლისური ენის 98 შემსწავლელმა სტუდენტმა და 28 მასწავლებელმა შეავსო ერაყის 7 უნივერსიტეტიდან ქურთისტანის რეგიონში) და ექსპერიმენტული კვლევა ერაყის ერთერთ უნივერსიტეტში.

ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, გამოგვერკვია ზოგადი სიტუაცია ინგლისურ ენაზე მოსმენის უნარ-ჩვევებსა და შფოთვასთან დაკავშირებით და, მეორეს მხრივ, ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტული კვლევა, რათა შეგვეფასებინა დისერტაციაში შემუშავებული მოდელი, რომელიც პიგმალიონის ეფექტზეა დამყარებული.

საკვლევი საკითხები შემდეგია:

- 1) რა არის ბაკალავრი სტუდენტების ინგლისურ ენაზე მოსმენის უნარ-ჩვევების დონე ქურთისტანის რეგიონში? (სტუდენტთა თვით-შეფასების მიხედვით)
- 2) რა არის მათი შფოთვის დონე მოსმენისას?

3) რამდენად ეფექტურია მოსმენისას შფოთვის შემცირების და მოსმენის უნარ-ჩვევების დონის გაზრდის თვალსაზრისით პიგმალიონის ეფექტზე დამყარებული დისერტაციაში შემუშავებული მოსმენის სწავლების მოდელი?

ეს რომ გაგვეკეთებინა, **გაზომვის ინსტრუმენტი** უნდა ამოგვეჩია / განგვევითარებინა. მასწავლებელთა და სტუდენტთა კითხვარები ანკეტირებისთვის შექმნილი იყო დისერტაციაში **ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით**. ის ეხებოდა სტუდენტთა შფოთვის დონეს მოსმენისას. მათი **საიმედოობა და შინაარსის ვალიდობა** რომ დაგვედგინა, კითხვარების საპილოტე ვერსია გამოვცადეთ სტუდენტთა ოცკაციან და მასწავლებელთა ათკაციან ჯგუფში, რომელიც ექსპერიმენტში არ მონაწილეობდა. საიმედოობის დასადგენად რამოდენიმე სინონიმური საკითხი იყო შეთავაზებული სტუდენტებისთვის და მასწავლებლებისთვის, რათა შეგვედარებინა რესპოდენტების აზრი დაემთხვეოდა ერთმანეთს თუ არა ამ კითხვებზე პასუხისას. თუ პასუხი არ ემთხვეოდა, ის საკითხები ან ამოღებული იყო კითხვარიდან, ან კითხვის ფორმულირება სხვაგვარად (უფრო ზუსტად) ხდებოდა. მასწავლებლებს ეთხოვათ უკუკავშირის მიწოდება, რათა საკითხისთვის სიცხადე მიენიჭებინათ. სტუდენტების კითხვარში შედიოდა 16 ისეთი საკითხი, რომელიც შეფასდა ლიკერტის ხუთქულიანი სკალით (1- საერთოდ არ ვეთანხმები, 5- სრულიად ვეთანხმები). მასწავლებლის კითხვარიც ანალოგიური იყო (საკითხების ფორმულირება ამგვარად შეიცვალა: “მე ვშფოთავ” → “სტუდენტები შფოთავენ“ და მასწავლებელთა კითხვარში 4 საკითხი იყო დამატებული მათ მიერ პიგმალიონის ეფექტის შესახებ ცოდნის დასადგენად. მას შემდეგ, რაც მასწავლებლებმა შეავსეს კითხვარი, გავაცანით მათ კვლევის მიზანი და შევეკითხეთ, თუ შეესაბამებდა მიზანს კითხვარში მოცემული საკითხები, რაც უზრუნველყოფდა კითხვარის **შინაარსის ვალიდობას**. ამის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის შედეგადაც ზოგიერთი საკითხი ამოღებულ იქნა კითხვარიდან, ხოლო ზოგს კი სხვა ფორმულირება მიეცა.

კითხვარების შედეგებმა, რომლებიც შევსებულ იქნა 98 სტუდენტისა და 28 მასწავლებლის მიერ ერთადერთი შვიდი უნივერსიტეტიდან ქურთისტანის რეგიონში,

გვიჩვენა, რომ სტუდენტები მხარს უჭერენ იმ მოსაზრებას, რომ ისინი უფრო მეტ შფოტვას განიცდიან მოსმენისას, ვიდრე ლაპარაკის, კითხვის და წერისას (4.12 ქულა). ზოგიერთი მათგანი ისე ნერვიულობს, რომ ისიც ავიწყდება, რაც მანამდე იცოდა (4.05 ქულა). ეს ასახსნელად მარტივია: ფსიქოლონგვისტურადაც და ლინგვისტურადაც უცხო ენაზე მოსმენა ძალიან რთულია (სტუდენტები მთლიანად დამოკიდებულნი არიან თანამოსაუბრეზე, მისი მეტყველების სიცხადეზე, აქცენტზე, ხარისხზე, სიტყვათა მარაგზე და გრამატიკულ თავისებურებებზე, არ არსებობს არც ვიზუალური მასალის დახმარება და არც შესაძლებლობა, რომ კითხონ თანამოსაუბრეს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა, მით უმეტეს, თუკი ეს საუბარი აუდიო ჩანაწერია).

იმ მოსაზრებებმა, რომელიც სტუდენტთა შფოტვის არარსებობას ეხება (შეკითხვა საკითხი 1-5), ყველაზე დაბალი ქულები მიიღეს (1.99-2.30), რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტთა შფოტვა საკმაოდ მაღალია (შფოტვა განსაკუთრებით მაღალია საკლასო ოთახში: 1.99 - საკითხი 4) და შედარებით დაბალია ავთენტურ სიტუაციებში (2.30 - საკითხი 2), ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს ეშინიათ იმ ადამიანების შეფასების, ვისაც იცნობენ (მასწავლებელი და თანატოლები). როდესაც სტუდენტებმა იციან, რომ მათ არავინ არ შეაფასებს, ისინი უფრო მშვიდად არიან.

მეორეს მხრივ, მოსაზრებებმა, რომლებიც ეხება შფოტვის არსებობას (საკითხი 6-16), მოგვცა უფრო მაღალი შედეგები (4.0-4.43), რაც კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ სტუდენტთა შფოტვა საკმაოდ მაღალია. ნაკლებია შფოტვა სტუდენტების, როდესაც გაკვეთილისთვის მომზადებულები არიან (4.0 - საკითხი 9) და ყველაზე მეტად შფოთავენ, როდესაც ვერ იგებენ სხვა მოსაუბრის მეტყველებას გაუგებარი წარმოთქმის გამო (4.43 - საკითხი 12). რეპოდენტთა შფოტვა მოსმენისას გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით (დალაგებულია შფოტვის კლებადობის მიხედვით):

- გაუგებარი წარმოთქმით (4.43);
- სხვა სტუდენტებთან შედარებით (4.28/4.27);

- საუბრის სიჩქარით (4.25);
- რთული ენით (4.14);
- ყველა სიტყვის გაგების სურვილით (4.09);
- მასწავლებლის საუბრით (4.08);
- საკითხით (4.05);
- გაკვეთილისთვის მოუმზადებლად ყოფნით (4.0).

აღსანიშნავია, რომ სხვა სტუდენტებთან შედარება (რომელიც შესაძლოა დარეგულირდეს პიგმალიონის ეფექტის გამოყენებით) დგას სიაში მეორე ადგილზე. რა თქმა უნდა, შეუძლებელია დასკვნების გაკეთება მთელს რეგიონზე 98 სტუდენტის გამოკითხვით, მაგრამ გარკვეული ტენდენცია მაინც ნათელია.

ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა იშიკის უნივერსიტეტში, ერაყის ქურთისტანის რეგიონში. ამისათვის შეიქმნა ორი ჯგუფი: საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს ასწავლიდნენ ტრადიციულად, მასწავლებლის მიზანმიმართული გავლენის (მაგ: პიგმალიონის ეფექტის გამოყენების) გარეშე და ექსპერიმენტულ ჯგუფში რეგულარულად იყენებდნენ პიგმალიონის ეფექტს, როგორც ეს დისერტაციაშია წარმოდგენილი. იმისათვის, რომ შედეგები მაქსიმალურად სანდო ყოფილიყო, ორივე ჯგუფს უზრუნველყოფდნენ ინგლისური ენის ერთი და იგივე მოსასმენი მასალით (Soars & Soars, 2016 - დაწყებითი დონის), ერთი და იგივე საათების რაოდენობით (კვირაში 9 საათი მოსმენისთვის, სულ 36 საათი 4 უნარ-ჩვევისთვის მთელი კვირის განმავლობაში, სწავლების ერთი და იგივე მეთოდით). ორივე ჯგუფს სხვადასხვა მასწავლებელი ასწავლიდა, თუმცა მათი კვალიფიკაცია მაქსიმალურად ახლოს იდგა ერთმანეთთან. ექსპერიმენტში ჩართული იყო 43 სტუდენტი მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის და ინგლისური ენის სწავლებლის დეპარტამენტებიდან იშიკის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტიდან. ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო ერთი სემესტრი. მოსმენის ტესტებად გამოყენებული იყო მასალა სოარსის და სოარსის დაწყებითი დონის სახელმძღვანელო (Soars & Soars, 2016), რადგან ისინი პროფესიულად პილოტირებული იყო და მათი სანდოობა და ვალიდურობა ექვს არ

იწვევდა. ორივე ჯგუფს მივეცი ერთი და იგივე სტრუქტურისა და დონის ტესტები ექსპერიმენტის დაწყებამდე, ექსპერიმენტის პერიოდში და მის შემდეგ. ტესტები მიზნად ისახავდა სტუდენტთა მოსმენის უნარ-ჩვევების დონის გაზომვას და იმის გამოვლენას, თუ რაიმე დადებითი ცვლილება მოხდა მათში ექსპერიმენტის განმავლობაში. ამას გარდა, სტუდენტებს უნდა ეპასუხათ ექსპერიმენტამდელი და ექსპერიმენტის-შემდგომი კითხვარისთვის, რომლებიც ასევე შექმნილი იყო მკვლევარის მიერ ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით და იგივენაირად იყო შეფასებული სანდოობასა და ვალიდურობაზე. კითხვარი ეხებოდა მოსმენის სწავლისას სტუდენტთა კმაყოფილებას და მათი მოსმენის შფოთვის დონეს, რათა გამორკვეულიყო შეთავაზებული მოდელი უფრო ეფექტური იყო თუ ტრადიციული.

პედაგოგიურ ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღეს იშვიკის უნივერსიტეტის პირველკურსელმა სტუდენტებმა განათლების ფაკულტეტიდან მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის და ინგლისური ენის სწავლების დეპარტამენტებიდან. იმისთვის, რომ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების შედეგების შედარება შესაძლო ყოფილიყო, სტუდენტები უნდა ყოფილიყვნენ ინგლისური ენის (მოსმენის) უნარ-ჩვევების ერთი და იგივე დონის მქონენი. დონე განისაზღვრა ოქსფორდის ონლაინ ტესტის შედეგად, რაც უზრუნველყოფილი იყო განათლების ფაკულტეტის მიერ. სტუდენტები, რომელთა ენის ცოდნის დონე შეესაბამებოდა დამწყებს, დაშვებულ იქნენ ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად. სულ 43 სტუდენტი ფაკულტეტის 390 სტუდენტიდან და უნივერსიტეტის 3500 სტუდენტიდან მოხალისეობრივად მონაწილეობდა ექსპერიმენტში. ეს ციფრი წარმომადგენლობითია ფაკულტეტისთვის (11,03%), მაგრამ რეალურად არ არის წარმომადგენლობითი უნივერსიტეტის მასშტაბით (1,23%). ისინი გაყოფილ იქნენ ორ ჯგუფად: საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფად. ექსპერიმენტულ ჯგუფში იყო 22 სტუდენტი, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 21 სტუდენტი. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტთა ასაკი იყო 17-21 წელი, ხოლო საკონტროლო ჯგუფში - 18-23 წელი (საშუალო ასაკი იყო 20). ჯგუფები იყო დაკომპლექტებული მოხალისეებისაგან შემთხვევითობის პრინციპის მიხედვით,

მაგრამ სქესთა ბალანსი ორივე ჯგუფში დაცული იყო. ჯგუფების შემადგენლობამ მათი შედეგები შედარებადი გახადა.

ექსპერიმენტის დროს ორი მიდგომის (ტრადიციული და პიგმალიონის ეფექტის) ეფექტურობა იყო შედარებული ორი ტიპის მონაცემების მიხედვით: ტესტირებისა და კითხვარების შედეგების გათვალისწინებით.

ცხრილი 3.1. ტესტირების შედეგების შეჯამება

	ჯგუფი	N	საშუალო ქულა	სტანდარტული გადახრა	საშუალო სტანდარტული ცდომილება
ექსპერიმენტამდელი ტესტი	ექსპერიმენტული ჯგუფი	22	42,3182	5,07455	1,08190
	საკონტროლო ჯგუფი	21	42,6667	7,45878	1,62764
ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტი 1	ექსპერიმენტული ჯგუფი	22	56,4091	5,49163	1,17082
	საკონტროლო ჯგუფი	21	52,7143	7,55078	1,64772
ექსპერიმენტის მსვლელობისას ჩატარებული ტესტი 2	ექსპერიმენტული ჯგუფი	22	69,0909	5,94346	1,26715
	საკონტროლო ჯგუფი	21	55,7143	7,47090	1,63028
ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტი	ექსპერიმენტული ჯგუფი	22	86,9545	9,66820	2,06127
	საკონტროლო ჯგუფი	21	63,5714	6,92511	1,51118


დასაწყისში მოსმენის უნარ-ჩვევები ორივე ჯგუფში საკმაოდ ახლოს იდგა ერთი მეორესთან (42.3182 და 42.6666), რაც ორივე ჯგუფს თანაბარ პირობებში აყენებდა. თუკი ექსპერიმენტის პერიოდში ჩატარებული პირველი ტესტირების შედეგები ორივე ჯგუფისთვის თითქმის ერთი და იგივე იყო (56.2273 და 55.1429), მოგვიანებით განსხვავება ჯგუფების შედეგებს შორის საგრძნობი გახდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იმისათვის, რომ ცვლილებებს მიაღწიონ განსხვავებული მიდგომებით, დრო არის საჭირო.

ინტენსიური სწავლების, მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციისა და სტუდენტთა ენთუზიაზმის გამო ორივე ჯგუფმა საგრძნობ გაუმჯობესებას მიაღწია. გაუმჯობესება ხდებოდა ექსპერიმენტის ყველა საფეხურზე, არა მხოლოდ მთლიანი ჯგუფისთვის, არამედ თითოეული სტუდენტისთვის.

თუმცა, საკონტროლო ჯგუფის საშუალო შედეგები (42.6667 → 69.9524, ნამატი 27,2857 ქულაა, ანუ 63,95%) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ექსპერიმენტულ ჯგუფთან შედარებით (42,3182 → 84,2273, ნამატი 41,9091 ქულაა, ანუ 99,03%).

ორივე ჯგუფისთვის სტანდარტული გადახრა ნორმის ფარგლებში იყო (5-8 ქულა) და იზრდებოდა ექსპერიმენტამდელ, ექსპერიმენტის პერიოდის პირველ და მეორე ტესტირების განმავლობაში, მაგრამ ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტის შედეგი ორივე ჯგუფში ნორმაზე ცოტა მაღალი იყო, რაც გვიჩვენებს, რომ ჯგუფები თავდაპირველად იყო ერთგვაროვანი, მაგრამ შემდეგ გახდა არაერთგვაროვანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე მიდგომას აქვს განსხვავებული გავლენა სხვადასხვა სტუდენტზე, ზოგიერთი სტუდენტი პროგრესირებს სწრაფად, ზოგი კი - ნელა. სტანდარტული ცდომილება საკმაოდ დაბალია (1-3 ქულა), რაც ნიშნავს, რომ განსხვავება ჯგუფების შედეგებს შორის აქარბებს 3 ქულას და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ტესტირების შედეგი წარმოდგენილია გამოსახულება 3.2-ში, რათა ვიზუალურად ნათელი იყოს ჯგუფებს შორის განსხვავება.



გამოსახულება 3.2. ტესტირების შედეგები

იმისათვის რომ დაგვეჩვენა, რომ მიღებული შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება, გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელ ნიმუშთა ტესტი და შეწყვილებულ ნიმუშთა ტესტი, რომლის შედეგებიც SPSS.22 პროგრამაში იქნა გაანალიზებული.

სტუდენტთა კმაყოფილების / შფოთვის დონის ერთი და იგივე კითხვარი, რომელიც შეიცავდა 11 კითხვას, მიეცათ ორივე ჯგუფის სტუდენტებს ექსპერიმენტამდე და ექსპერიმენტის შემდგომ (სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ მოცემული მტკიცებულება ლიკერტის ხუთბალიანი სკალით (1 - სრულიად არ ვეთანხმები → 5 სრულიად ვეთანხმები). კითხვარები დაურიგდა ყველა სტუდენტს ორივე ჯგუფში და მათ თანხმობა განახცადეს მათი შევსებისთვის. მიღებული საშუალო შედეგები გვიჩვენებს, რომ სტუდენტთა კმაყოფილება ექსპერიმენტულ ჯგუფში მნიშვნელოვნად გაიზარდა (2,38 → 4,063 ქულა ლიკერტის ხუთბალიან სკალაზე), ხოლო საკონტროლო ჯგუფის სტუდენტთა კმაყოფილების დონე შემცირდა განსაზღვრულ დონემდე (3,03 → 2,290). შედეგების სტატისტიკურად დამუშავება მოხდა შეწყვილებულ ნიმუშთა ტესტით SPSS.22 პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რათა გარკვეულიყო მათი სტატისტიკური მნიშვნელობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. მოსმენის უნარ-ჩვევები არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ენობრივი უნარ-ჩვევები. ენის სწავლება, მშობლიურია ეს ენა თუ უცხო, სწორედ მოსმენით უნდა დავიწყოთ. კრაშენის (Krashen, 1985, 1995) მიხედვით, ის უზრუნველყოფს გასაგები ინფორმაციის მიღების წყაროს ენის სწავლისას.
2. თუმცა მოსმენა ხშირად განიხილება როგორც ყველაზე მარტივი ენობრივი უნარ-ჩვევა (Morchio, 2009), უცხო ენაზე მოსმენა რთულია როგორც ლინგვისტური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. უცხო ენაზე მასალის მოსმენისას წარმოშობილი შფოთვა არის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც უზარმაზარ პრობლემას ქმნის მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებასა და ფუნქციონირებაში.

3. ტერმინი 'პიგმალიონის ეფექტი' შემოტანილ იქნა როზენტალისა და ჯაკობსონის (Rosenthal & Jacobson, 1968) მიერ 1960-იანი წლების ბოლოს. 'პიგმალიონის ეფექტი არის მასწავლებლის რწმენა, რომ სტუდენტებს აქვთ სწავლის უნარი. ეს რწმენა სხვადასხვა გზით გადაეცემა სტუდენტებს.
4. პირველი და მეორე დასკვნის გათვალისწინებით, მკვლევარმა ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა, რომ პიგმალიონის ეფექტის გამოყენებით შესაძლოა შეიქმნას პროდუქტიული გარემო სტუდენტთა მოსმენისას წარმოშობილი შფოთვის შესამცირებლად და მოსმენის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.
5. თუმცა პიგმალიონის ეფექტის თავდაპირველმა კვლევამ (Rosenthal, 1987; Rosenthal & Jacobson, 1968) მოგვცა დადებითი შედეგი სტუდენტთა ცოდნის დონისა და უნარ-ჩვევების მიმართ, ზოგიერთი მისი შემდგომი კვლევების შედეგები არადაამაჯერებელი შეიქნა (Chang, 2011; Ruthert & Reed, 2001). მკვლევარის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ პიგმალიონის ეფექტის გამოყენება იმ კვლევებში მეტად მარტივად იქნა გაგებული, როგორც მხოლოდ სტუდენტების შექება მათი წარმატების გამო და არდასჯა მარცხის გამო. რეალურად უფრო ღრმადაა შესაძლებელი პიგმალიონის ეფექტის იდეის (განსაკუთრებით, უცხო ენის / მოსმენის სწავლისას) განვითარება. პიგმალიონის ეფექტის მოდელის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ენის (მოსმენის) სწავლებისთვის სწორედ ამ დისერტაციაში მოხდა.
6. მკვლევარის მიერ შეთავაზებული მოდელი დეტალურადაა განხილული 2.3. ქვეთავში (გამოსახულება 2.2). მასწავლებლის თეორიული ხედვა უნდა განვითარდეს სტუდენტებზე უფრო მეტად ორიენტირებული და კონსტრუქტივისტული ხედვისკენ, მასწავლებელმა უნდა წახალისოს სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა, კომუნიკაციური ხედვა ენის სწავლაზე, ისევე როგორც გამოამყვანოს შეცდომებისადმი ტოლერანტობა და გააკეთოს კონსტრუქტიულ უკუკავშირზე აქცენტი. ეს განახლებული ხედვა შეცვლის მასწავლებლის ქმედებას ისე, რომ მასწავლებელი - სტუდენტის ურთიერთობები უფრო დემოკრატიული და მეგობრული იქნება და

პიგმალიონის ეფექტი ხელს შეუწყობს გაკვეთილის ეფექტურ მენეჯმენტს. სტუდენტებს მოსმენისას ტექსტის გაგების სტრატეგიები მიეწოდებათ შეცდომების გასწორების / უკუკავშირის პროცესში. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება პიგმალიონის ეფექტის გამოყენება ეფექტური სტუდენტებისთვის. სტუდენტები შეიცვლიან როგორც დამოკიდებულებას (უცხო ენაზე მასალის მოსმენა ხელმისაწვდომი და ამავდროულად საჭირო უნარია), ისე თავიანთ ქცევას გაკვეთილზე (ისინი უფრო მეტად ჩაერთვებიან აქტივობებში და თავდაჯერების გრძნობა გაეზრდებათ). შეთავაზებული მოდელის გამოყენების გამო სტუდენტებს რეალურად შეუმცირდებათ შფოთვა მოსმენისას და გაეზრდებათ მოსმენის უნარ-ჩვევების დონე. რადგან პიგმალიონის ეფექტის გავლენა ირიბია (პიგმალიონის ეფექტის გამო შფოთვა მცირდება და მოტივაცია იზრდება), ის ვერ იქნება ძალიან ძლიერი, თუმცა იქნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

7. იმისათვის, რომ უკეთესად შეგვეფასებინა გარემო, რომელშიც ჩატარდა კვლევა, გამოვიყენეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ინგლისური ენის შემსწავლელმა 98 მოხალისე სტუდენტმა ერაყის 7 უნივერსიტეტიდან. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტები მხარს უჭერდნენ იმ მოსაზრებას, რომ ისინი უფრო მეტ შფოთვას განიცდიდნენ მოსმენისას, ვიდრე საუბრის, კითხვის ან წერის დროს (საშუალო შედეგი - 4.12 ლიკერტის ხუთქულიან სკალაზე). ეს იმას ნიშნავს, რომ ერაყის ქურთისტანის რეგიონის სტუდენტებისთვის შფოთვა მოსმენისას სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ის ქმნის სტუდენტთა მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების რეალურ დაბრკოლებას.
8. ჰიპოთეზა იქნა ფორმულირებული შემდეგნაირად: პიგმალიონის ეფექტის შეთავაზებული მოდელის გამოყენება, მოსმენის შესაბამისი აქტივობები და გაკვეთილის მენეჯმენტი შეამცირებს შფოთვას და გაზრდის მოსმენის უნარ-ჩვევების დონეს.

9. პიგმალიონის ეფექტის შეთავაზებული მოდელი, რომელიც ეხებოდა აუდირების პროცესში შფოთვას და მოსმენის უნარ-ჩვევებს, გამოვცადეთ ექსპერიმენტულად. მიღებული შედეგები საკმაოდ იმედის მომცემია. ექსპერიმენტულ ჯგუფს ასწავლიდნენ შეთავაზებულ მოდელზე დაყრდნობით. სტუდენტთა შფოთვა მოსმენისას, შევსებული კითხვარების მიხედვით, მნიშვნელოვნად დაეცა (მაგალითად, მერვე კითხვა 'მე ვშფოთავ, როდესაც მოსასმენ დავალებებს ვასრულებ' 4,09-დან 2,05 ქულამდე ლიკერტის ხუთქულიან სკალაზე შემცირდა), მათი მოსმენის უნარ-ჩვევები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (ექსპერიმენტამდელი ტესტის 42,3 ქულიდან 87 ქულამდე ექსპერიმენტის-შემდგომ ტესტში, 100 შესაძლო ქულიდან). შეწყვილებულ ნიმუშთა ტესტმა დაადასტურა მიღებული შედეგების სტატისტიკური მნიშვნელობა. ამავდროულად საკონტროლო ჯგუფს ვასწავლიდით ტრადიციულად, პიგმალიონის ეფექტზე აქცენტის გაკეთების გარეშე (ეს არ გამორიცხავდა მასწავლებლის მეგობრულ დამოკიდებულებას სტუდენტებისადმი და სტუდენტების მხარდაჭერას). თავდაპირველი შფოთვის დონე მოსმენისას საკონტროლო ჯგუფში მაღალი იყო (შეკითხვა 8 – 4,3 ქულა), ექსპერიმენტის შემდგომ ის შემცირდა განსაზღვრულ დონემდე (შეკითხვა 8 – 4,0 ქულა). შემცირება არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და აშკარად უფრო მცირე იყო, ვიდრე ექსპერიმენტულ ჯგუფში. მოსმენის უნარ-ჩვევების დონე ექსპერიმენტამდელი ტესტში იყო 42,7, ექსპერიმენტის-შემდგომ ტესტში კი გაიზარდა 63,6-მდე - ცვლილება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მცირეა, ვიდრე ექსპერიმენტულ ჯგუფში. მიღებული შედეგები ნიშნავს იმას, რომ მასწავლებლებმა ორივე ჯგუფში თავისი მაქსიმუმი გააკეთეს, ისინი არიან კვალიფიციური მასწავლებლები, თუმცა, მოსმენის უნარ-ჩვევების დონის გაზრდა ექსპერიმენტულ ჯგუფში საგრძნობლად დიდია, ვიდრე საკონტროლოში. მხოლოდ ერთი პირობა იყო განსხვავებული ჯგუფებში, ეს იყო მკვლევარის მიერ შეთავაზებული პიგმალიონის ეფექტის მოდელის გამოყენება (ან არგამოყენება). მაშასადამე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ დამოკიდებული ცვლადის (მოსმენის უნარ-

ჩვევების დონე) ცვლილება გამოწვეული იყო დამოუკიდებელი ცვლადით (პიგმალიონის ეფექტის შეთავაზებული მოდელის გამოყენება / არგამოყენებით).

10. მიღებულ შედეგებს გარკვეული შეზღუდვები აქვთ. მართალია, კითხვარის რესპოდენტები მეტ-ნაკლებად წარმოადგენენ ინგლისური ენის მასწავლებლებსა და სტუდენტებს ერაყის ქურთისტანის რეგიონში, ექსპერიმენტში ჩართული იყო სტუდენტების შეზღუდული რაოდენობა. ამასთანავე, ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო მხოლოდ ერთი სემესტრი და გადავადებული ტესტირების ჩატარება ვერ მოხერხდა, შესაბამისად, შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებაც ვერ მოხერხდა. შემდგომში, უფრო ფართო-მასშტაბიანი კვლევის ჩატარებაა მიზანშეწონილი, რათა განზოგადდეს დისერტაციაში მიღებული შედეგები. დისერტაციაში შემუშავებული და პილოტირებული საზომი ინსტრუმენტები (კითხვარები) გვადლევს იმის საშუალებას, რომ კვლევა სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებშიც ჩატარდეს. მეორეს მხრივ, თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ მიღებული შედეგები იმ კვლევებთანაა თანხვედრაში, რომლებიც დადებითად აღიქვამს პიგმალიონის ეფექტს (Boser et al, 2014; Claire & Fiske, 1998; Jones, 1986, 1990; Livingston, 1969; Rist, 1970; Rosenthal, 1987; Rosenthal & Jacobson, 1968; Schultz & Oskamp, 2000; Taylor, 1992; Weinstein & McKown, 1998), გარკვეული განზოგადება შესაძლოა გაკეთდეს, ინგლისურ როგორც უცხო ენაზე მოსმენის სწავლების კუთხით მაინც.
11. ყველა ზემოთ თქმულზე დაყრდნობით, მკვლევარს სურს რეკომენდაცია გაუწიოს ინგლისური როგორც უცხო და მეორე ენის მასწავლებლებს უკეთ გაიცნონ ის ფენომენი, რომელსაც პიგმალიონის ეფექტი ჰქვია, რათა რჩევა მისცენ საგანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციას, რომ გამართონ სემინარები და ტრენინგები მისი გამოყენების მიზნით.
12. მკვლევარი სთავაზობს როგორც მასწავლებლებს, ისე მკვლევარებს პიგმალიონის ეფექტის მოდელს. რა თქმა უნდა, მკვლევარებს შეუძლიათ ამ

მოდელის მოდიფიცირება გააკეთონ ან თუნდაც თავიანთი მოდელი განავითარონ. პიგმალიონის ეფექტის გამოყენების პერსპექტივები სულ ცოტა საინტერესო და პერსპექტიულია.

დისერტაციის ძირითადი იდეები და მონაცემები შემდეგ პუბლიკაციებშია ასახული:

1. Rauf Avci. (2016). Is there a Pygmalion Effect in learning EFL? The 6th International Research Conference on Education, Language and Literatures (IRCEELT). Proceedings. Tbilisi: IBSU, p. 377-382.
2. Rauf Avci. (2016). The impact of the interaction between teacher and learner on the motivation and achievement of the learners. The 7th International Visible Conference on Educational Studies and Applied Linguistics (VESAL), p. 359-368. Ebril, Iraq: Ishik University.
3. Rauf Avci. (2017). The impact of anxiety on listening in a foreign language and the ways to overcome its negative effects. *Journal of Education in Black Sea Region*, vol. 2, # 2, p. 97-115.